

მშობელთა (დედა) ემოციური ინტელექტის კავშირი მოზარდთა  
შფოთვასთან

მარიტა ნასყიდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, განათლების  
ფსიქოლოგია

(მიმართულება კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რუსუდან მირცხულავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

ბავშვებსა და მოზარდებში შფოთვა და მასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხია. მშობლები და განსაკუთრებით კი დედები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ შვილების ზოგადად, ფსიქოლოგიური მდგომარეობის და კერძოდ, შფოთვის ჩამოყალიბების პროცესში. შესაბამისად, დედის ემოციური კომპეტენციები და კომუნიკაციური უნარები გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ კორელაციების შესწავლა, რომლებიც ვლინდება მშობელთა, კონკრეტულად დედების ემოციური ინტელექტის სხვადასხვა ფაქტორსა (კარგად ყოფნა, თვითკონტროლი, ემოციურობა, სოციალურობა) და მოზარდთა (15,16,17 წელი) შფოთვის მაჩვენებელს (პიროვნული და სიტუაციური) შორის.

კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 300-მა (150 მოზარდი და 150 დედა) ცდისპირმა. პროცედურა მიმდინარეობდა თბილისის ორ (#105 და #107) საჯარო სკოლაში. მასში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ასაკის (49 – 15 წლის, 51 -16 წლის, 50 – 17 წლის) და სქესის (87 მდედრობითი სქესი, 63 მამრობითი სქესი) მოზარდი. გამოიყო მოზადთა სამი ასაკობრივი კატეგორია: 1)15; 2)16; 3)17 წელი. კვლევის ინსტრუმენტებს წარმოადგენდა პეტრიდესის ემოციური ინტელექტის და სპილბერგერის შფოთვის დიფერენცირებული დიაგნოსტიკის ტესტები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა მაღალი უარყოფითი კორელაცია დედების ემოციური ინტელექტის ორ ფაქტორსა (სოციალურობა ( $r=-.63, p<.01$ ) და თვითკონტროლი ( $r =-.45, p<.01$ ) და მოზარდთა პიროვნულ შფოთვას შორის. დანარჩენ ფაქტორთა შორის გამოიკვეთა სუსტი უარყოფითი კორელაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ კორელაცია არ გამოვლინდა მოზარდთა სიტუაციური შფოთვის და დედების ემოციურ ინტელექტის კარგად ყოფნის ფაქტორს შორის.

სხვადაგვარი შედეგია შფოთვის მაჩვენებლებში სქესთა შორის (იხ. გრაფიკი #1), კერძოდ, გოგონებმა გამოავლინეს შედარებით მაღალი შფოთვა ( $M = 56.8, SD = 13.3$ )

ვიდრე ბიჭებმა ( $M = 40$ ,  $SD = 9.8$ ). განსაკუთრებით დიდია განსხვავება პიროვნული შფოთვის შემთვევაში.

რაც შეეხება ასაკობრივ კატეგორიებს, მოზარდთა შფოთვის მაჩვენებლებსა და დედების ემოციურ ინტელექტს შორის კორელაციათა სიძლიერე ასაკობრივ კატეგორიებში არ აღმოჩნდა მნიშვნელოვნად განსხვავებული (იხ. ცხრილი #4,5,6). მნიშვნელოვანია, რომ სამივე ასაკობრივმა კატეგორიამ მშობელთა ემოციური ინტელექტის სოციალურობის ფაქტორსა და პიროვნულ შფოთვას შორის აჩვენა საშუალო უარყოფითი კორელაცია. მცირედი განსხვავებაა აგრეთვე შფოთვის საშუალო მაჩვენებლებში სამივე ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. სტატისტიკურად სანდოა სიტუაციური შფოთვის მაჩვენებლებს შორის სხვაობა პირველ და მესამე ასაკობრივ კატეგორიებში. (იხ. გრაფიკი #2).

კვლევამ ნაწილობრივ დაადასტურა ჰიპოთეზა; - დედების ემოციური ინტელექტის ფაქტორები კავშირშია მოზარდთა შფოთვასთან; დედების დაბალი თვით-კონტროლი, სოციალური ურთიერთობების დაბალი უნარი, ემოციათა იდენტიფიცირების დაბალი უნარი უარყოფითად კორელირებს მოზარდთა პიროვნულ შფოთვასთან.